პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---აპრილი 2017 წელი

ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ზაჰესის დასახლებაში კასკადის ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი შესახვევისთვის ენერგეტიკოსი ალექსანდრე ხეთაგურის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) გლდანის რაიონში, ზაჰესის დასახლებაში კასკადის ქუჩას და მასთან არსებულ ორ შესახვევს მიენიჭოს ენერგეტიკოსი ალექსანდრე ხეთაგურის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

X:480,411.361
Y:4,630,698.383
X:480,419.409
Y:4,630,675.388
X:480,444.028
Y:4,630,645.804
X:480,470.727
Y:4,630,640.506
X:480,389.339
Y:4,630,637.854
II შეს.
X:480,488.150
Y:4,630,647.610
X:480,281.230
Y:4,630,594.081
X:480,415.739
Y:4,630,624.569
ალექსანდრე
ხეთაგურის ქ.
X:480,318.976
Y:4,630,554.870
I შეს.
X:480,279.482
Y:4,630,518.001
X:480,335.219
Y:4,630,449.479
X:480,283.978
Y:4,630,507.975
X:480,316.102
Y:4,630,480.338

02/841

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ-ნ ლ. ჯახველაძეს

გთხოვთ განიხილოთ.

№06/19146
17.11.16 წ.

გიორგი ალიბეგაშვილი
17.11.16წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

74-01-3100/01-25

„16" 11 2016

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს, ბატონ გ.ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

მოგაწვდით, მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს საქართველოს ენერგეტიკული მეურნეობის შესანიშნავი წარმომადგენლის, კარგი მეურნისა და წარმოების ბრწყინვალე ორგანიზატორის *ალექსი ხეთაგურის* შესახებ.

ალექსი პეტრეს ძე ხეთაგური დაიბადა 1910 წელს, ხაშურის რაიონის სოფ. აგარაში. შვიდწლედის დამთავრების შემდეგ, ა. ხეთაგურმა სწავლა გააგრძელა თბილისის ინდისტრიულ ტექნიკუმში, რომლის დამთავრების შემდეგ, 1930 წელს იგი იწყებს შრომით საქმიანობას ოსტატის კვალიფიკაციით.

1933 წელს, *ა. ხეთაგური* წარმოებიდან მოუწყვეტლად, სწავლას აგრძელებს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. სწავლის პარალელურად, ის აქტიურ საქმიანობას აგრძელებს სხვადასხვა ენერგეტიკულ ობიექტებზე, სადაც გამოირჩევა მინდობილი საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობით და კარგი ცოდნით, რისთვისაც ჯერ კიდევ მე-5 კურსის სტუდენტი ინიშნება ცხაკაია-ფოთის ელექტრული გადამცემი ხაზებისა და ქვესადგურების მშენებლობის უფროსად, სადაც მსახურობდა 1939 წლამდე.

1939 წელს *ა. ხეთაგური* ინიშნება ზემო ავჭალის ელექტროსადგურის (ზაჰესი)-ს უფროსად.

ა. ხეთაგურის სახელს უკავშირდება აღნიშნული ელექტროსადგურის ტექნიკური გადაიარაღება. მთლიანად შეცვალა ელექტროსადგურის ძალოვანი დანადგარები: ჰიდროტურბინები, გენერატორები, ტრანსფორმატორები. ახალი, იმ დროისათვის პროგრესული ტექნოლოგიების დანერგვით, 20%-ით გაიზარდა სადგურის სიმძლავრე.

1955 წელს ზაჰესს შეუერთდა ორთაჭალჰესი და შეიქმნა ენერგეტიკული გაერთიანება კასკადი №1.

ა. ხეთაგურის საქმისადმი მაღალკვალიფიციურმა და პროფესიულმა მიდგომამ მნიშვნელოვნად განაპირობა ის, რომ 1963 წელს ზაჰესი-კასკადი №1-ის გაერთიანებას შეურთდა ელექტროსადგურები: ტირიფონჰესი, მისაქციელჰესი, იგოეთჰესი, კეხვიჰესი, ჟინვალჰესი, ძამაჰესი და ბარისახოჰესი. ელექტროსადგურების ამ მასშტაბური გაერთიანების დირექტორის თანამდებობაზე *ა. ხეთაგურის* ეფექტურ და პროდუქციულ საქმიანობას მოჰყვა საწარმოო ობიექტებზე ახალი ტექნიკის დანერგვა, პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია.

ალ. ხეთაგური, როგორც სამეურნეო დარგის გამოჩენილი სპეციალისტი, სამსახურებრივ საქმიანობას წარმატებით უთავსებდა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. სხვადასხვა დროს იყო მცხეთის რაიონული კომიტეტის ბიუროს წევრი, რაიონული საბჭოს დეპუტატი, არჩეული იყო ქალაქ-მუზეუმის - მცხეთის საპატიო მოქალაქედ.

№ 06/19146
"17" 11 2016 წ.

საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 77
(995 32) 2365362
www.gtu.ge
E-mail: rectoroffice@gtu.ge

77, Kostava Str, 0175, Tbilisi, Georgia
(995 32) 2365362
www.gtu.ge
E-mail: rectoroffice@gtu.ge

ალ. ხეთაგური გაერთიანება ზაჰეს-კასკადი №1-ს ხელმძღვანელობდა 42 წლის განმავლობაში. მისი ხანგრძლივი, უმწიკვლო საქმიანობა არ დარჩენილა შეუმჩნეველი. იგი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით სამგზის, წითელი ვარსკვლავის ორდენით და მრავალი სხვა მედლით. პენსიაზე გასვლის შემდგომ, საქმიანობას განაგრძობდა გაერთიანების დირექტორის მოადგილედ.

ღვაწლმოსილი, უწესიერესი მოქალაქის სტატუსის მქონე *ალექსანდრე ხეთაგური* გარდაიცვალა 1985 წელს, 75 წლის ასაკში.

ისტორიული სამართლიანობა მოითხოვს ალ. ხეთაგურის სახელის უკვდავსაყოფად ზაჰესის ტერიტორიაზე მდებარე ერთ-ერთ ქუჩას ეწოდოს *ალ. ხეთაგურის სახელი.*

გთხოვთ განიხილოთ აღმნიშნული წინადადება და მიიღოთ დადებითი გადაწყვეტილება.

პატივისცემით,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
რექტორი, აკადემიკოსი — ფ. ფრანგიშვილი

საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის
პრეზიდენტი, პროფესორი — რ.არველაძე

ალექსანდრე ხეთაგური

(1910-1985)

დაიბადა ხაშურის რაიონის ს. აგარაში. შვიდწლედის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის ინდუსტრიულ ტექნიკუმში, რომლის დამთავრების შემდეგ 1930 წელს იგი იწყებს შრომით საქმიანობას ოსტატის კვალიფიკაციით. 1933 წელს წარმოებიდან მოუწყვეტლად სწავლას აგრძელებს საქართველოს პოლიტექნიკუტრ ინსტიტუტში. სწავლის პარალელურად ის აქტიურ საქმიანობას აგრძელებს სხვადასხვა ენერგეტიკულ ობიექტებზე, სადაც გამოირჩევა მინდობილი საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობით და კარგი ცოდნით, რისთვისაც ჯერ კიდევ მე-5 კურსის სტუდენტი ინიშნება ცხაკაია-ფოთის ელექტრული გადამცემი ხაზებისა და ქვესადგურების მშენებლობის უფროსად, სადაც მსახურობდა 1939 წლამდე.

1939 წელს ინიშნება ზაჰესის (ზემო ავჭალის ჰიდროელექრტო სადგური) უფროსად. მის სახელს უკავშირდება აღნიშნული ელექტროსადგურის ტექნიკური გადაიარაღება. მთლიანად შეცვალა ელექტროსადგურის ძალოვანი დანადგარები: ჰიდროტურბინები, გენერატორები, ტრანსფორმატორები. ამით მან 20 % -ით გაზარდა სადგურის სიმძლავრე.

იგი სამასახურეობრივ საქმიანობას წარმატებით უთავსებდა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. არჩეული იყო მცხეთის საპატიო მოქალაქედ.

გაერთიანება ზაჰესს 42 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა. დაჯილდოებული იყო ორდენებითა და მედლებით. პენსიაზე გასვლის შემდეგ საქმიანობას განაგრძობდა დირექტორის მოადგილედ.

გარდაიცვალა 1985 წელს.